

3. ნაშრომის სიახლე

ქართულენოვანი მკითხველისთვის წინამდებარე ნაშრომი თავისთავად უკვე სიახლეა წინამორბედის არარსებობის გამო; და თუ მაინც საგანგებოდ გამოვყოფთ ინოვაციურ მომენტებს, უპირატესად იმ პარალელებზე დაყრდნობით, რომლებსაც ვავლებთ ანალოგიურ გრამატიკებთან საკუთრივ გერმანიაში და მის ფარგლებს გარეთ:

– ნაშრომის სიახლედ მიგვაჩნია მისი **მეთოდოლოგიური საფუძველი** – აგება კონტრასტული ლინგვისტიკის პრინციპებზე, კერძოდ კი ორიენტაცია უშუალოდ ქართული და გერმანული ენების შეპირისპირებითი კვლევისას გამოვლენილ ენობრივი ინტერფერენციისა და ტრანსფერენციის მოვლენებზე;

– სიახლეა ისიც, რომ ნაშრომში ექსპლიციტურად არის წარმოდგენილი:

- თავისებური აგებულების წინადადებები: ელიფსები, ანაკოლუტი, პროლეფსისი, პარენტეზა, მიმართვა, კლიშეები/იდიომატური ენობრივი ფორმულები და მათი ფუნქციონირება ტექსტში;
- სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა ენობრივი დონის გადახრა-ანომალიები;
- ნაწილაკები მთელი თავიანთი სემანტიკურ-სტილური ნიუანსებითა და ურთიერთგადაკვეთის სფეროებით;
- შორისდებულები და მათი მოდიფიკაციით მიღებული სხვა მეტყველების ნაწილები და ა.შ.

ანუ ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც, როგორც წესი, უცხოელთათვის შედგენილ ანალოგიური ტიპის გრამატიკებში მხოლოდ გაკვრით, არაექსპლიციტურად არის მოწოდებული, თუ არ ვიტყვით, რომ მეტწილად იგნორირებულია.

– ნაშრომი ასევე პირველად გვთავაზობს საკუთრივ გერმანულ ფენომენტა/ენობრივ მოვლენათა აღმნიშვნელი ტერმინებისთვის ზუსტად მისადაგებულ ქართულ ეკვივალენტებს, და ეს არა გერმანულ ტერმინთა ძალდატანებითი/სიტყვასიტყვითი გადმოქართულების ხარჯზე, არამედ მეტწილად მათი რეფერენციალური მნიშვნელობიდან ამოსვლის გზით (ასეთებია, მაგ.: Stirnsatz || Verberststelle / Kernsatz || Verbzweitstelle / Spannsatz || Verbletzstelle – ბირთვული/ფრონტალური/ფინიშური სტრუქტურის წინადადება; Vordersatz / Zwischensatz / Nachsatz – პრეპოზიციური/პოსტპოზიციური/ინტერპოზიციური დამოკიდებული წინადადება; Vorfeld / Mittelfeld / Nachfeld – წინაველი / შუაველი / უკანაველი და მრავალი სხვა), რომელთა გადმოსაცემადაც ქართულ გერმანისტიკაში მანამდე აღწერილობითი ფორმები გამოიყენებოდა. მსგავს ეკვივალენტთა დამკვიდრებით წიგნი ქართულ ლინგვისტურ მეტაენას მეტ გამომსახველობას/მოქნილობას სძენს და იმავდროულად ქართულ ენათმეცნიერულ ტრადიციებსაც ამდიდრებს აღწერის ახალი ფორმების შემოტანის თვალსაზრისით.

– ახლებურია ნაშრომის სტრუქტურაც (იხ. **მითითებები წიგნით სარგებლობის შესახებ** და **სამეცნიერო კორპუსი**) რამდენიმე ტიპის **სარჩევითურთ**, თემატურად კატალოგიზირებული **რეგისტრებითურთ**, მრავალკომპონენტიანი **ბიბლიოგრაფიითურთ** და ა.შ.